



# სოფლით ვაძიოთ ძალადობას

როგორ დავიცვათ თავი  
ოჯახური ძალადობისგან

ძალადობის მსხვერპლს იცავს საქართველოს კანონი  
და უნდა იცავდეს სამოქალაქო საზოგადოება

ჟურნალ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1997 წლის ოქტომბერში დაფუძნდა.

ფონდის მისიაა ქალთა აქტივობის განვითარება საგანმანათლებლო, სამართალდამცავი, სოციალური, უფლებათა დაცვისა და სხვა სახის საქმიანობით ქალის როლის ამაღლებისათვის საქართველოში.

ბროშურა მომზადებულია პროექტის - „იმერეთის რეგიონში ჯოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებული პირების ინფორმირება ჯანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ფარგლებში ფონდი „ტასოს“ ფინანსური და ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის ინტელექტუალური მხარდაჭერით.

გარეკანზე გამოყენებულია ფონდი „სოხუმის“ მიერ „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 აქტიური დღის“ ფარგლებში ჩატარებული ჯონ-ჯურსის მასალები (ჯონ-ჯურსში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქუთაისში მოქმედი №5 და №6 სკოლების მოსწავლეები).

# ს ბ ლ ი მ ზ ი

რა უნდა იცოდეთ, თუ თქვენ  
ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ხართ ----- 4

გამოიყენე კანონი  
„ოჯახში ძალადობის აღკვეთის,  
ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა  
დაცვისა და დახმარების შესახებ“  
საკუთარი დაცვისთვის ----- 6

დამცავი და შემაკავებელი ორდერები:

დამცავი ორდერი ----- 8

შემაკავებელი ორდერი ----- 9

თავშესაფარი ----- 10

ფონდი „სოხუმი“ ათიწელია, აქტიურად მუშაობს ქალთა როლის ამაღლებისათვის ოჯახსა და საზოგადოებაში, მათი უფლებების დაცვისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების, ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი მექანიზმების გაცნობა-პროპაგანდისა და ძალადობის პრევენციის მიზნით.

ამ მიმართულებით ფონდ „სოხუმი“

**ტარდება:** ტრენინგ-სემინარები, ფსიქოლოგის შეხვედრები დევნილ ქალებთან, დებატები, საინფორმაციო შეხვედრები, ექსპერტთა შეხვედრები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან

**ბამოიცება:** მეთოდური სახელმძღვანელოები („სიცოცხლე ტრავმის შემდეგ გრძელდება“, „ცოდნით ვძლიოთ ოჯახურ ძალადობას“), კალენდრები, პოსტერები, საინფორმაციო ფურცლები

**იწყობა:** სატელევიზიო და რადიოგადაცემები რეგიონული არხების ეთერით ციკლიდან „ძალადობა ბოროტებაა“.

**ხდება:** სოციალური კლიპების გადაღება და ტრანსლირება, რადიორგოლების მომზადება და ეთერში გაშვება.

**პრის:** უფასო ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები.

ყველა ამ ღონისძიების მიზანია არაძალადობრივი კულტურის პროპაგანდა საზოგადოებაში, ქალის უფლებების არა მარტო წინა პლანზე წამოწევა, არამედ უფლებების დაცვის უნარ-ჩვევების შესწავლა და მათი გამოყენება.

იმედს ვიტოვებთ, ეს ერთობლივი ნაშრომი დაგეხმარებათ კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევაში, გაგაცნობთ თქვენს უფლებებს და მეტ თავდაჯერებულობას შეგმატებთ.

გვინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ფონდ „ტასოს“ ფინანსური და ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელს ინტელექტუალური მხარდაჭერისათვის.

# **რე უნდა იხოდეთ, თუკი თქვენ ოჯახური კალაღობის მსხვერპლი ხართ**

**ოჯახური კალაღობა** არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა

- ფიზიკური;
- ფსიქოლოგიური;
- სექსუალური ძალადობით;
- იძულებით.

**ფიზიკური კალაღობა** არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რაც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, აგრეთვე არასრულწლოვანის მშობლებისაგან (მეურვისაგან) იზოლირება, ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული იმ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც გამოიწვევს მისი ჯანმრთელობის დაზიანებას, სიკვდილს.

**ფსიქოლოგიური კალაღობა** არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

**იძულება** არის ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგანაც თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

**სემსუაღური კალაღობა** არის ქმედება, რომელიც არღვევს პიროვნების სქესობრივ თავისუფლებას, აგრეთვე სქესობრივი კავშირი

ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება, ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ.

**ეკონომიკური ძალადობა** არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

**ოჯახური ძალადობის მსხვერპლია** ის პირი (ან პირები), რომელსაც ოჯახის წევრი ან წევრები აყენებენ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობას, სექსუალურად ძალადობენ მასზე ან აიძულებენ შეასრულოს მისი სურვილის საწინააღმდეგო მოქმედება.

**ოჯახის წევრი** არის დედა, მამა, ბაბუა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, დედობილ-მამობილი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.



# **გაეროყენე კანონი „ოჯახი ძალადობის აღკვეთის, ოჯახი ძალადობის მსხვერპლთა დახვისა და დახმარების უზრუნველყოფის საკუთარი დახვისათვის“**

თუ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდით, ქვემოთ ჩამოთვლილი რჩევები და ინფორმაცია დაგეხმარებათ.

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში პოლიციის მოვალეობას შეადგენს, დაეხმაროს იმ პირებს, რომლებიც კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ან გახდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი.
- იმ შემთხვევაში, თუ შენ და შენი ბავშვი გახდით ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, სასწრაფოდ დარეკე პოლიციაში ნომერზე 022.
- პოლიციის თანამშრომელი, რომელიც გაგესაუბრება, ვალდებულია, გაგეცნოს, შენ კი, შენის მხრივ, ვალდებული ხარ, დაასახელო საკუთარი სახელი, გვარი, გააცნო მომხდარის არსი და მიუთითო, სად იმყოფები პოლიციის გამოძახებისას. იმ შემთხვევაში, თუ აპირებ ადგილმდებარეობის შეცვლას, პოლიციისთვის ცნობილი უნდა იყოს, საითკენ მიემართები და დაასახელო იქაური ტელეფონის ნომერი.
- შენთან გამოცხადდება საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი, რომელიც ვალდებულია, ჩაიბაროს განცხადება მომხდარი ფაქტის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი მომხდარი გარემოებების დასახუშტებლად განახორციელოს სხვა ქმედებები (მოწმეთა დაკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ეჭვმიტანილის დაკავება და პოლიციის განყოფილებაში მიყვანა).
- ჩაიწერე შენთან მოსული საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის სახელი და გვარი. ეს გაგიადვილებს, უკეთ მიაღვენო თვალი საქმის მსვლელობას.

- პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, მიიღოს შენი განცხადება მომხდარის შესახებ. განცხადება შეიძლება იყოს ზეპირი სახის (ანუ - პოლიციის თანამშრომელი ოქმს შენი მონაყოლის მიხედვით აღგენს, ამავე დროს, იგი მომხდარის რაიმე დეტალის დაზუსტებას ითხოვს) და წერილობითი (ანუ, როცა შენ მომხდარის შესახებ საკუთარი ხელით წერ ჩვენებას.)
- სანამ ზეპირ ჩვენებას ხელს მოაწერდე, დარწმუნდი, მასში ზუსტად არის თუ არა მითითებული შემთხვევის ყველა დეტალი. თუ განცხადებაში უზუსტობას აქვს ადგილი, ან რაიმე შეცვლილია, მოითხოვე შესწორების შეტანა, ან ჩვენება საკუთარი ხელით ჩაასწორე. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს მიუთითე იმ საგნებზე, რომლებიც თავდასხმის შედეგად დაზიანდა (მაგ. დამტვრეული ტელეფონი, გატეხილი ჭურჭელი, დახეული ტანსაცმელი და სხვა.)
- სამართალდამცავმა შენი შვილი მხოლოდ შენი თანხმობით უნდა დაჰკითხოთ, მაგრამ გახსოვდეს, შემდგომი ძალადობის ფაქტის აღკვეთის მიზნით, შესაძლოა, სწორედ ბავშვის ჩვენება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი საქმისა თუ სამოქალაქო სარჩელის აღძვრისათვის.
- თუ კონფლიქტის შედეგად შენ და შენს შვილს მიყენებული გაქვთ სხეულის დაზიანება, ამის შესახებ აუცილებლად აცნობე პოლიციელს და შეეცადე, ჩაიტარო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (ამისათვის შენ უნდა მოგეცეს მიმართვა).
- რათა დადგინდეს სხეულის დაზიანების ხარისხი, საჭიროა სასამართლო-სამედიცინო დასკვნა. დაზიანება კვალიფიცირდება შემდეგნაირად: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

**სხეულის დაზიანების ხარისხი გავლენას ახდენს დანაშაულებრივი ქმედების კლასიფიკაციაზე და თუ ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი აქვს მიყენებული, საქმე აღიძვრება დაზარალებულის საჩივრით და წყდება მისივე განცხადებით.**

# **დამცავი და უზენაესი ორდერები**

## **დამცავი ორდერი**

ოჯახური ძალადობის ფაქტის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლს ან მისი ოჯახის წევრს, აგრეთვე მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მას უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, შეუძლია მოითხოვოს დამცავი ორდერის გაცემა. თუ ბავშვის მიმართ მოხდა ძალადობა, დამცავი ორდერის მოთხოვნა ასევე შეუძლიათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლებს.

დამცავ ორდერს გაცემს პირველი ინსტანციის მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. დამცავ ორდერში განისაზღვრება მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

**დამცავი ორდერი გაცემა 3 თვემდე ვადით.** ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრება სასამართლოს მიერ. ორდერის მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრების მიმართ.

## **დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:**

ა. მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული, აგრეთვე დახმარების აღმომჩენი პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;

ბ. იმ სახლისაგან მოძალადის მოშორების საკითხს, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მესაკუთრეა თუ არა იგი აღნიშნული ქონების;

გ. მოძალადის ვალდებულებას არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომობილით ან სხვა ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;

დ. მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

ე. მოძალადის ბავშვებთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხს.

ვ. მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების საკითხებს, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

ზ. მოძალადისთვის იარაღის, მათ შორის სამსახურებრივ-საშტა-ტო იარაღის, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში.

თ. მოძალადისთვის მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;

ი. სხვა იმ საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

### **შემაკავებელი ორდერი**

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, როცა საჭიროა ფაქტზე რეაგირება, **მსხვერპლს შეუძლია გამოიძახოს პოლიცია და მოითხოვოს შემაკავებელი ორდერის გაცემა.** თუ ოჯახური ძალადობის ფაქტის შემთხვევაში პოლიციელი გასცემს შემაკავებელ ორდერს, იგი სავალდებულოა შესასრულებლად. შემაკავებელი ორდერი მოქმედებს 48 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც მისი დაკანონება ხდება სასამართლოს მიერ.

### **შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:**

ა. მოძალადის იმ სახლისაგან მოშორების საკითხს, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მესაკუთრეა თუ არა იგი აღნიშნული ქონებისა;

ბ. მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

გ. მოძალადის ბავშვებთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხს;

დ. მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების საკითხებს, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

ე. მოძალადისთვის იარაღის, მათ შორის სამსახურებრივ-საშტა-ტო იარაღის, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში.

ვ. სხვა იმ საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

**გამოცემულ ორდერში შესაძლებელია მიეთითოს ჩამოთვლილი საკითხებიდან ერთ-ერთი ან ყველა ერთად, ძალადობის ფაქტის აღეკვამტურობის გათვალისწინებით.**

დამცავი და შემაკავებელი ორდერი მზადდება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ხელმოწერით ბარდება მოძალადეს, ერთი - მსხვერპლს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ პირს.

**დამცავი და შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე.**

დამცავი ორდერის გაუქმება შესაძლებელია ორდერში მითითებული ვადის გასვლამდე. ამისათვის მხარეებმა (მსხვერპლმა და მოძალადემ) სასამართლოს უნდა მიმართონ ორდერის შეწყვეტის მოთხოვნით.

სასამართლოს მიერ ორდერის მოქმედების შეწყვეტის გადაწყვეტილების გამოტანამდე, მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების მიუხედავად, ორდერი მოქმედებს და მოძალადე დაისჯება ორდერის დარღვევისათვის.

**შემაკავებელი და დამცავი ორდერის დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.**

## **თავშესაფარი**

ოჯახში ძალადობისას მსხვერპლის მიერ თავშესაფარში გადაყვანის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის იქ გადაყვანას.

თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება თავშესაფრის წესდებით გათვალისწინებული ვადით (კანონით განისაზღვრება 2 თვე). გადაუდებელ შემთხვევებში შესაძლებელია ვადის გაგრძელება. თავშესაფარში მოთავსებულ მსხვერპლს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი.

2008 წლიდან ამოქმედდება თავშესაფარი, სარეაბილიტაციო ცენტრები, რომელთა ფუნქციონირებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო.

ფონდი „სოხუმი“ ცდილობს მოკრძალებული წვლილის შეტანას ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის საქმეში.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონის შემოღებასთან ერთად საზოგადოების მიერ ოჯახში ძალადობის, როგორც სერიოზული სოციალური პრობლემისა და ბოროტების, აღქმა საუკეთესო საშუალებაა მისი პროფილაქტიკისათვის.

ამ ბროშურით გვინდა დავეხმაროთ ყველა დაინტერესებულ პირს არა მარტო გაეცნოს საქართველოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, ოჯახური ძალადობის სახეებს, არამედ, სხვადასხვა გამოცდილებიდან გამომდინარე, ვურჩიოთ, როგორ უნდა დაიცვას თავი ოჯახური ძალადობის შემთხვევაში.

მოხარულნი ვიქნებით, თუკი შევძელით თქვენთვის მოგვეწოდებინა ის, რაც ძალადობისაგან დავიცავთ.

ამასთან ერთად, ჩვენი შემდგომი ურთიერთობისათვის, გთხოვთ შეავსოთ თანდართული ანკეტა-კითხვარი, რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთ დავეხმაროთ თქვენი პრობლემების მოგვარებაში.

დიზაინი: ლია კოსტავა  
ბეჭდვა: თეა გოლეტიანი

დაიბეჭდა კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმში“  
ქუთაისი, მგალობლიშვილის 6

2008 წელი



ძალადობა შეშინარავი სიწყევლა...  
(მაიკო შუბითიძე)

შოთიკო ობოლაძე



თეონა ბაკურაძე



მეჩა ცინცაძე

მჯერა, თუ ერთმანეთზე ვიფიქრებთ, ერთმანეთს  
ჯივილს არ მივაყენებთ... (ნუკრი კვანჭიანი)